1973/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (385)

1973 წლის თებერვალი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (385) თებერვალი 1973 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ბ. ნარსიას საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. ჭანუყვაძის საქართველოს სსრ დამზადების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. სირაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ვ. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

9. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაიაკოვსკის რაიონის ადგილობრივი საბჭოების სესიების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ.

10. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1972 წლის შედეგების შესახებ.

11. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ანგარიშების ჩაბარების დროს ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

განყოფილება მეორე

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ვ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

12.196

ეროვნების სახ. საქ. სსრ
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. ხარატიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მესამე

თათბირ-სემინარი

საინფორმაციო ცნობა.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

5 ᲐᲛᲮ. Მ. Ბ. ᲜᲐᲠᲡᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ბახვას ძე **ნარსია** საქართველოს სსრ დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Გ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔ.

თბილისი, 1973 წლის 14 თებერვალი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

6 ᲐᲛᲮ. Შ. Ი. ᲭᲐᲜᲣᲧᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხანაგი შოთა ილარიონის ძე **ჭანუყვაძე** საქართველოს სსრ დამზადების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Გ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔ.

თბილისი, 1973 წლის 14 თებერვალი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

7 ᲐᲛᲮ. Ვ. Მ. ᲡᲘᲠᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ვიქტორია მოსეს ასული **სირაძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Გ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ზ. ᲙᲕᲐᲨᲐᲫᲔ.

თბილისი, 1973 წლის 21 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

8 ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაინიშნოს ამხ. ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1973 წლის 21 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

9 მაიაკოვსკის რაიონის ადგილობრივი საბჭოების სესიების მოვზადებისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. რ. ქარჩხაძის მოხსენება რაიონის ადგილობრივი საბჭოების სესიების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკის შესახებ, აღნიშნავს, რომ რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, ახორციელებენ რა კანონებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ სესიების მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების საქმეს.

საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გაზეთის, ადგილობრივი რადიომაუწყებლობისა და თვალსაჩინო ადგილებზე განცხადებების გამოკვრის მეშვეობით თავის დროზე აუწყებენ მოსახლეობას და დეპუტატებს სესიის ჩატარების დროს, ადგილსა და დღის წესრიგს. სესიებისათვის საკითხების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

მუდმივი კომისიები სესიებზე პერიოდულად გამოდიან მოხსენებებით და თანამოხსენებებით, აბარებენ მუშაობის ანგარიშს.

რაიონული საბჭოს მესამე სესიის მიერ განხილულ საკითხზე — „მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ“ თანამოხსენებით გამოვიდა სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისია, ხოლო მერვე სესიაზე — განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისია.

მაიაკოვსკის სადაბო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ნერგიეთის სასოფლო საბჭოს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ფერსათის სასოფლო საბჭოს საგზაო მშენებლობის მუდმივმა კომისიებმა საანგარიშო პერიოდში სესიებისათვის მოამზადეს ორ-ორი საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების სესიებზე რეგულარულად იხილავენ სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, კეთილმოწყობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და სხვა საკითხებს. სესიაზე კამათში გამოსულთა 85-90 პროცენტი დეპუტატია. როგორც რაიონული, ასევე სადაბო საბჭოების აღმასკომები იცავენ სესიების მოწვევის ვადებს. აღმასკომები დეპუტატებს ყოველ სესიაზე აწვდიან ინფორმაციას წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. დეპუტატები სისტემატურად აცნობენ ამომრჩევლებს სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მაიაკოვსკის სადაბო, დიმის, ვარციხის, ფერსათის და სხვა სასოფლო საბჭოების სესიები ტარდება დეპუტატების აქტივობისა და მაღალი ორგანიზებულობის ვითარებაში.

ამასთან ერთად მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთ საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს სესიების მომზადებისა და ჩატარების საქმეში ჯერ კიდევ გააჩნია ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი ყოველმხრივ არ სწავლობს სესიებზე განსახილველ საკითხებს, მათ მომზადებაში აქტიურად არ არიან ჩაბმული მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი; არ ხდება საბჭოების გადაწყვეტილებათა პროექტების წინასწარი განხილვა, რის შედეგადაც დეპუტატების გამოსვლები ნაკლებად კრიტიკულია.

პირველი ობჩის, მეორე ობჩის და ზეგანის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები დეპუტატებს კანონით დადგენილ ვადებში არ ატყობინებენ სესიის ჩატარების დროსა და განსახილველ საკითხებს, ხოლო ნერგიეთის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საერთოდ არ ღებულობს გადაწყვეტილებებს სესიის მოწვევის შესახებ. ზოგჯერ საბჭოს სესიაზე საკითხების განხილვაში ნაკლებად მონაწილეობენ დეპუტატები. მაგალითად, მაიაკოვსკის სადაბო საბჭოს მეხუთე სესიაზე აღმასკომის ანგარიშის განხილვისას კამათში მონაწილეობა მიიღო ექვსმა კაცმა, აქედან დეპუტატი იყო მხოლოდ ორი.

ხშირად კამათში გამოდიან ერთი და იგივე თანამდებობის პირები. არადამაკმაყოფილებელია კოლმეურნე დეპუტატთა მონაწილეობა საკითხების მომზადება-განხილვაში.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას სესიებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვისა და მათზე რეაგირების საქმე. როგორც წესი, დეპუტატების მიერ დაყენებულ საკითხებს შესაბამის ორგანიზაციებში გზავნიან აღმასკომის სხდომებზე განუხილველად, რომლებიც თავის მხრივ მათ არ ატყობინებენ მიღებული ზომების შესახებ. ამასთან აღმასკომები არ ამოწმებენ და თავიანთ სხდომებზე არ იხილავენ დეპუტატების მიერ დაყენებული წინადადებების შესრულების საკითხებს.

პირველი ობჩის სასოფლო საბჭოს კულტურისა და სახალხო განათლების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, წითელხევის სოფლის მეურნეობის, საგზაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიებს საანგარიშო პერიოდში არ მიუღიათ მონაწილეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესიებისათვის საკითხების მომზადებაში და არ გამოსულან მოხსენებით, ან მოხსენებით.

რაიონის ადგილობრივი საბჭოების სესიებზე 1971-1972 წლებში არ განუხილავთ საბჭოების საქმიანობის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: მიწათსარგებლობის კანონის დაცვის, ამომრჩევლების მიერ დეპუტატებისათვის დაყენებული განაწილებისა და წინადადებების შესრულების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-პატრონობის მდგომარეობის შესახებ და სხვ. საბჭოების გადაწყვეტილებანი ყოველთვის არ არის კონკრეტული. არ სრულდება კანონის მოთხოვნა, რომ საბჭოების აღმასკომებმა სესიის გადაწყვეტილებანი დროულად დაიყვანონ შემსრულებლამდე. მაგალითად, დიმის სასოფლო საბჭოს სესიის 1972 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება—მდინარე ხანისწყალზე წისქვილის აღდგენის შესახებ შემსრულებლებს გაეგზავნათ 20 დღის დაგვიანებით; ამასთან ორგანიზაციები, რომლებსაც ეგზავნებათ სესიების გადაწყვეტილებანი, აღმასკომებს არ აწვდიან ინფორმაციას სესიის გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის თაობაზე. სათანადო ყურადღება არ ექცევა სესიებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს. ამის შედეგია, რომ არ შესრულდა ნერგიეთის სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილება სოფელ ნერგიეთში და ჭრელაშვილების უბანში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების გახსნის შესახებ, ფერსათის სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილება — სოფლის ცენტრში მგზავრთა მოსაცდელის აშენების შესახებ. რაიონული საბჭოს აღმასკომი ნაკლებ დახმარებას და კონტროლს უწევს ქვემდგომ საბჭოებს და მათს აღმასკომებს სესიების მომზადება-ჩატარების საქმეში, არ სწავლობს და არ აზოგადებს ამ საქმეში სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობის დადებით გამოცდილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სესიების მომზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ კანონებით რაიონული და სასოფლო, სადაბო საბჭოების შესახებ და განახორციელონ ღონისძიებანი ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, რისთვისაც:

ა) დაწესებულ ვადებში აცნობონ დეპუტატებს და მოსახლეობას სესიის ჩატარების დრო და სესიაზე განსახილველად შესატანი საკითხები, საკითხების მომზადებაში უზრუნველყონ დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა. პრაქტიკაში შემოიღონ საბჭოების გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვა მოსახლეობის კრებებზე;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სესიაზე განსახილველი საკითხების შერჩევას. სესიების მსჯელობის საგნად გახადონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალური საკითხები; უზრუნველყონ კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლენა და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა მათს გამოსასწორებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღონ ზომები სესიების გადაწყვეტილებათა შემსრულებლამდე ადგილ-ადგილ ვადებში დაყვანისათვის. ამასთან განახორციელონ ღონისძიებანი, რომ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა დროულად აცნობონ აღმასკომებს სესიების გადაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ;

დ) უზრუნველყონ საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ სესიებზე დაყენებულ წინადადებათა და კრიტიკულ შენიშვნათა განხილვა და შედეგების დეპუტატებისათვის შეტყობინება;

ე) განამტკიცონ დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების კავშირი ამომრჩევლებთან და მიაღწიონ ამომრჩეველთა აქტიურ მონაწილეობას საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს აღმასკომს პერიოდულად შეისწავლოს და განაზოგადოს სასოფლო და სადაბო საბჭოების სესიების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა, მეტი დახმარება გაუწიოს მათ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეამოწმონ ქვემდგომ საბჭოებში სესიის მოწვევისა და ჩატარების პრაქტიკა, პერიოდულად ჩაატარონ თათბირ-სემინარები სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის სესიების მომზადების დადებითი გამოცდილების განზოგადებისა და ოქმების გაფორმების საქმის გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1973 წლის 21 თებერვალი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1972 წლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIV ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი დადგენილებებით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და კანონით, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. ამაღლდა სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების მომზადებისა და ჩატარების დონე, გაუმჯობესდა დეპუტატებისა და მუდმივი კომისი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების მუშაობა, სათანადო ყურადღება ექცევა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ამასთან, ზოგიერთი საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას ჯერ კიდევ ახასიათებს რიგი ნაკლოვანება. ირღვევა სესიების მოწვევის ვადები, აღმასკომები ზოგჯერ ანგარიშს არ აბარებენ სესიასა და მოსახლეობას, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისია, არის დემოკრატიულ პრინციპთა და კანონმდებლობებიდან გამომდინარე მოთხოვნათა დარღვევის ცალკეული შემთხვევები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს განიხილონ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის; მიაღწიონ საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას მეტი დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის 1972 წლის შედეგების შესახებ“ დაეგზავნოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

4. აღინიშნოს, რომ ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო რესპუბლიკის ბევრ რაიონულ და საქალაქო საბჭოს აღმასკომში საორგანიზაციო განყოფილების შექმნამ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი ყველა რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომში აღნიშნული განყოფილების შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 21 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ანგარიშების ჩაბარების დროს ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ანგარიშების ჩაბარების დროს ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ“ მიღებულ იქნეს ცნობად.

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დროულად განიხილა დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხები და მიიღო სათანადო ზომები მათს განსახორციელებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეამოწმონ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ანგარიშების ჩაბარებისას ამომრჩეველთა მიერ დაყენებული წინადადებების შესწავლისა და გადაწყვეტის მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნული წინადადებების განხილვის შედეგები აცნობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 21 თებერვალი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 ამხ. კ. ვ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი ამხ. კონსტანტინე ვიაჩესლავის ძე **ჩხეიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 9 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 ამხ. ი. ა. ხარატიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამხ. იოსებ ალექსის ძე **ხარატიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 9 თებერვალი.

განყოფილება მესამე

თათბირ-სემინარი

1973 წლის 5 თებერვლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ჩატარდა მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი. თათბირ-სემინარზე მოხსენებით გამოვიდნენ:

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამხ. ვ. მაისურაძე — „ადმინისტრაციული კომისიების დებულება და ბრძანებულებები, რომლებიც ითვალისწინებენ სასჯელს ადმინისტრაციული წესით“;

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ვ. შადური — „შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ ადმინისტრაციული კომისიებისათვის გადასაცემი მასალების მომზადება და მათი განხილვის წესი“;

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ამხ. ბ. ჯაფარიძე — „საფინანსო ორგანოების მიერ ადმინისტრაციული კომისიებისათვის გადასაცემი მასალების მომზადება და მათი განხილვის წესი;“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე ამხ. მ. მაჭავარიანი — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებენ ჯარიმებს ადმინისტრაციული წესით;“

საქართველოს სსრ პროკურორი ამხ. ა. ტაკიძე — „ადმინისტრაციული კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა კანონიერების შესახებ;“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე ამხ. პ. ბერძენიშვილი — „ადმინისტრაციული კომისიის შემადგენლობა და საქმის წარმოება.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციული კომისიების მუშაობის გამოცდილების გაზიარების შესახებ ინფორმაციით გამოვიდნენ ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ს. მარგველაშვილი, ქ. რუსთავის და ქ. სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების თავმჯდომარეები ამხ. ამხ. ნ. სოფრომაძე და ვ. ნოვოსიოლოვი.

თათბირ-სემინარის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 397 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		17
ადიგენის	რაიონიდან	5
ასპინძის	„	4
ახალციხის	„	8
ახალქალაქის	„	15
ბოლნისის	„	19
გეგეჭკორის	„	4
დმანისის	„	100
დუშეთის	„	5
თიანეთის	„	4
ლაგოდეხის	„	12
მარნეულის	„	112
საგარეჯოს	„	25
ჩოხატაურის	„	4
ცხაკაიას	„	12
ჩხოროწყუს	„	12
წალკის	„	39

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე

(1972 წლის სექტემბერი — 1973 წლის იანვარი)

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა — ახმეტის, საჩხერის, ამბროლაურის რაიონული, ჭიათურის საქალაქო საბჭოები.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობისა და პირუტყვის გამოზამთრების ღონისძიებათა შესახებ — ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ახალციხის, ბოლნისის, ქარელის რაიონული და ტყიბულის საქალაქო საბჭოები.

რაიონის კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო წესდების განხორციელების შესახებ — თელავის, წულუკიძის და ცხაკაიას რაიონული საბჭოები.

რაიონში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — გეგეჭკორის, წალკის, გორის და ცაგერის რაიონული საბჭოები.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობისა და უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ — ცხაკაიას, თეთრი წყაროს, ბორჯომის რაიონული და ზუგდიდის საქალაქო საბჭოები.

რაიონში საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ — ლენტეხის, ადიგენის რაიონული საბჭოები.

რაიონში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — მცხეთის, გურჯაანის, თიანეთის, მესტიის რაიონული საბჭოები.

✓ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ტექნიკის გამოყენების მდგომარეობისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლების გზების შესახებ — მაიაკოვსკის რაიონული საბჭო.

✓ ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ — ჭიათურის საქალაქო და თერჯოლის რაიონული საბჭოები.

საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის თაობაზე“ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების განხორციელების შესახებ — ქუთაისის საქალაქო და წყალტუბოს რაიონული საბჭოები.

ქალაქის, დაბების, სოფლების გენერალური გეგმის მიხედვით განაშენიანების მდგომარეობის და მისი შემდგომი გაუმჯობესების საქმეში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლების შესახებ — მახარაძის რაიონული საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის კოლმეურნეობებში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ — ლაგოდეხის რაიონული საბჭო.

საყოველთაო სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ — ვანის, ზუგდიდის რაიონული, ფოთის საქალაქო საბჭოები.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში მიქავას სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ — წალენჯიხის რაიონული საბჭო.

ქალაქის კეთილმოწყობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ობიექტების მოვლა-პატრონობის, ექსპლუატაციის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — რუსთავის საქალაქო საბჭო.

საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით მიწათსარგებლობის წესების დარღვევის ფაქტების შესახებ ზემდგომი ორგანოების მითითებათა შესრულების მდგომარეობის შესახებ — გარდაბნის რაიონული საბჭო.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და სკოლამდე დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების შესახებ — ჩხოროწყუს და კასპის რაიონული საბჭოები.

რაიონში სამრეწველო საწარმოთა მუშაობის და კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — წითელწყაროს რაიონული საბჭო.

ხობის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის ანგარიში — ხობის რაიონული საბჭო.

რაიონის სოფლების კეთილმოწყობისათვის მუშაობის მდგომარეობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე — საგარეჯოს რაიონული საბჭო.

რაიონის მოსახლეობის კულტურული, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — ხაშურის რაიონული საბჭო.